

# კორაიმა ტორესი

## მსახიობის ბიოგრაფია... 24 სიყვარულის ფონზე

ფასი 30 თეთრი

6 ივლისს კორაიმა ტორესს 24 წელი შეუსრულდება. ეს ქალისათვის ის ასაკია, როცა წლების დამალვა არანაირ საჭიროებას არ წარმოადგენს. ეს ხანა ქალისათვის რაღაც გაზაფხულ-ზაფხულის გზაგასაყარს ჰგავს და იმ ვარდივითაა, ეკლიან რტოს სიმძიმით რომ არ აწუხებს. ამ ქალს აღმოსავლეთში რომ ეცხოვრა, მრავალი „ბულბული“ გამოუჩნდებოდა მეხოტბედ, თუმცა, როგორც თავად ამბობს, არც ვენესუელაში მოჰკლებია მას უიმედო შეყვარებულთა კვნესა.

(გაგრძელება მე-2 გვერდზე)

*... გაზეთი გამოდის ორშაბათობით ...*


# ფანტაზია

№ 17 (43)

19.05 - 25.05

ი/ს „ფანტაზიის“ ყოველკვირეული შემეცნებით-გასართობი გაზეთი.

1997 წელი




„საკმარისია ერთხელ ნახო სინათლე და მას ვეღარასოდეს დაივიწყებ“.

# რა ელით „კასანდრას“ პერსონაჟებს ივნისში...

იხილეთ მე-3 გვერდი



# კროს-დეტექტივი

## «ვინ არის ნომერი 10?» დეტექტივის როლში —ლუის დავიდი პირველი სერია

(1) ეს ჩვენი საძებარი № 10 თბილისელი რომ ყოფილიყო, ეცოდინებოდა, რომ ე. წ. „დახურულ ბაზართან“ არის საყოფაცხოვრებო მომსახურების სახლი და რა ჰქვია მას? (სახლზე გეუბნებით...) ჰოდა, ჩაწერეთ!

(2) აი, ეს № 10 ობოლიც იყო, უვიციც იყო, უწინგურიც იყო... მერედა ვინ ასწავლა მას წერა-კითხვა? ჰოდა, ჩაწერეთ! (3) თქვენ როგორ ფიქრობთ, რა არის ამ № 10-ის ერთი ასმესამოცედი ნაწილი? (4) № 10 თბილისელი რომ ყოფილიყო კაიფვორდი ეყვარებოდა... კაიფვორდში კი ასეთი კითხვა ეწერებოდა:

მენდელეევს ჩახედეთ და გაიყვანეთ დრო ნელა...

ქიმიურად როგორ იტყვით ჯიგარი ხარ, ორნელა!

(5) № 10 ჩვენებური გლეხი გოგო რომ ყოფილიყო, შესაძლოა, ეს დამცინავ-სალაღობო მეტსახელი ჰქონოდა (კაიფვორდის პრინციპით — სამრეკლოს მენეჯერი ჩიტი). (6) ვინ არის გამომძიებელ ლუის დავიდისთვის დოქტორი უატსონის ფუნქციის შემსრულებელი ანუ მისი მესაიდუმლე? (7) როგორი გარემოა შექმნილი № 10-ის ირგვლივ იგნასიოს სიკვდილის შემდეგ (როგორი-მეთქი, როგორი?!). (8) რა პროფესიისა გრაციო დ ანჯელო, რომელმაც ამ № 10-ის ცხოვრება ასახა? (9) ისიც გეცოდინებათ, თუ ვინ ეხმარება № 10-ს ჩვენთან უშუალო კონტაქტის დამყარებაში... (იცით, ბატონო, თქვენ ყველაფერი იცით!). (10) გიმეორებთ — ვინ არის №10. (11) № 10 იტალიელი რომ ყოფილიყო, რა სიტყვა დასჭირდებოდა „სწრაფი“ ტემპის გამოსათქმელად მუსიკის ენაზე? (12) ეგებ გაიხსენოთ, რა იყო № 10-ის მექსიკელი კოლეგის, მონიკას, თავშესაფარი თვეების განმავლობაში? (13) თუ გახსოვთ, ბატონი ბორის წიფურია ერთ დროს ცირკის დირექტორი იყო; ნეტავ თუ იცით, ვინ არის მისი ვენესუელელი კოლეგა (ამჟამად უმუშევარი)? (14) ისევ № 10-ის საყვარელ კაიფვორდს მივმართოთ: გაიხსენეთ ეს ვარდივით ქალი, რომელსაც რუსული „ვაშა“ ნამდვილად შეეფერება. (15) ეს № 10 პელე არ არის და არც ის № 9-აა, რომელიც პელეს კოლეგა იყო 1970 წელს... ვინ იყო ეს № 9? (16) № 10-ისაგან გულდადაგული კაცი. (17) № 10-ის ბაბუა (უკვე ხვდებით, არა, ვინ არის № 10?!). (18) № 10-ის ზამბახ-ვარდოვანი მეგობარი. (19) თუ არ იცით სად არის № 10-ის სამშობლო, აიღეთ რუკების კრებული და მოძებნეთ და ამ კრებულის გადაფურცვლამდე დახედეთ, რა აწერია. (20) ვინ არის ავტორი № 10-ის შესახებ შექმნილი რომანისა? (21) რა სალანძღავი სიტყვა შეეძლო ეთქვა № 10-ს იგნასიოსათვის, დოსტოევსკის რომანი რომ ჰქონოდა წაკითხული? (22) ვინ არის ის კაცი, რომელმაც № 10 მიუყვანა № 27-ს მიიღო რა № 23-ის ბრძანება? (23) ეს ქალბატონი ოჯახის ქალი რომ ყოფილიყო, ქრონიკულად არ იქნებოდა „პაეზდკებში“. გაგახსენდათ მისი სახელი? (24) იაპონიის ფული. (25) ახლა № 10-ის კიდევ ერთი სასერიალო კოლეგა გაიხსენეთ მექსიკიდან. (26) თუ იცით ვინ იყო იმ ნიკარაგუას ეროვნული გმირი, რომელიც № 10-ის სამშობლოს სიახლოვეს მდებარეობს. (27) „ახალი ქართველებისათვის“: მარწყვი 5 ლარი ღირს... შეიძინეთ 20 კგ. მარწყვი და მიირთვით, ბატონებო! ჩვენ კი ჩავწერთ კროვორდში თქენს მიერ გადახდილი თანხის ოდენობას. (28) რა ჰქვია № 10-ის საყვარელ (ზაზა) ბებიას? (29) № 10-ის დედა. (30) №10-ის ბრაზილიელი კოლეგა. (31) უსიტყვო როლების შემსრულებელი. (32) სახოტბო ლექსი. (33) ქალაქი-პორტი იმ ქვეყანაში, სადაც № 10-ის შემქმნელი-მწერალი დაიბადა.

მაშ, ვინ არის № 10? — ხომ მიხვდით და ხომ გაგიხარდათ?!




კანის ფესტივალის ორგანიზის გვირგვინოსანი ფრანგი კინომსახიობი ქალი იზაბელ აჯანი ამავე ქალაქის 50-ე საიუბილეო კინოფესტივალის ჟიურის თავმჯდომარე იყო. ვრცელი მასალა ამ ქალბატონის შესახებ იხილეთ მე-2 გვერდზე.



## ნომრის ანეკდოტი

მიხოს მშობელი სკოლაში დაიბარეს.

— ბატონო მიტო — უთხრა მასწავლებელმა — თქვენი შვილი ერთობ უცნაური ბავშვია — სულ იმას გაიძახის შტირლიცი ვარო.

— უჰ, ძაან მორცხვი ბავშვი კია, არა?! — შეიცხადა მამამ.

— რატომ?

— იმიტომ, რომ ჩვენ ბორმანები ვართ!


სტუდია „ვიდეოკრანი“ გთავაზობთ: უკანასკნელი კვირის ვიდეო და აუდიო ჰიტ-პარადებს

იხილეთ მე-6 გვერდი

# „სიყვარული სახიფათოა, რადგან მას ბევრი რამის შეცვლა შეუძლია“.



**ფრანგული კინოს დედოფალი „ყვითელი პრესის“ კლანჭებში**

# იზაბელ აჯანი

**იმ ვარსკვლავთა შორის, რომლებიც ფრანგული კინოს სახეს განსაზღვრავენ, ალბათ, ყველაზე მნიშვნელოვანი ადგილი იზაბელ აჯანის ეკუთვნის. იგი საფრანგეთის კინოაკადემიის ოთხგზის ლაურეატია; იზაბელი აღიარებულია არა მარტო თავის სამშობლოში, არამედ ჰოლივუდშიც; 20 წლის ასაკში ეს მსახიობი წარდგენილ იქნა „ოსკარის“ პრემიერაზე, მაგრამ... ეს ყველაზე საყვარელი, ყველაზე პოპულარული და ნიჭიერი ქალი ხშირად პრესის გააფთრებული თავდასხმის საგნად იქცევა ხოლმე და ამის ერთ-ერთი მიზეზი ის გახლავთ, რომ იგი ფრანგი არ არის...**

## მაშ, ვინ არის აჯანი?

იზაბელი 1955 წელს დაიბადა ბავარიაში, დედამისი გერმანელია და მეტყველებაც გერმანულ ენაზე დაიწყო; როცა მას შვიდი წელი შეუსრულდა, მამამისმა, ალჟირელმა ემიგრანტმა, ოჯახი პარიზში გადაიყვანა, სადაც საკმაოდ მაღალანაზღაურებიანი სამუშაო გამოძებნა. წლების განმავლობაში იზაბელის წარმოშობის შესახებ მორცხვად დუმდნენ და კინოცნობარებში მისი დაბადების ადგილადაც პარიზს მიიჩნევდნენ. ხოლო როცა სიმართლემ მაინც გაჟონა, ანტიემიგრაციული კანონებისათვის მებრძოლმა ულტრამემარჯვენე დაჯგუფებებმა მსახიობის სახელი ჭუჭყში ამოსვარეს, ამტკიცებდნენ რა, რომ იგი ბუნებით მეძავია და ნარკოტიკებსაც იღებს: ისიც კი ითქვა, რომ აჯანი შიდსი-თაა დაავადებული. 80-იან წწ. დასაწყისში, როცა მსახიობი დროებით ჩრდილში მოექცა, ჭორები მისი ავადმყოფობის შესახებ მთელ ყვითელ პრესაში გავრცელდა და ერთ მშვენიერ დღეს აჯანიმ საკუთარი ყურით მოისმინა ტელევიზორში, რომ თურმე „მსახიობი იზაბელ აჯანი“ სიკვდილის პირასაა მისული. მან ჩათვალა, რომ ეს ხუმრობაა, მაგრამ მეორე დღესვე შეიტყო ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მთელი საფრანგეთი გლოვობს „მსახიობ იზაბელ აჯანს“ გარდაცვალების გამო...

## პოლიტიკა, აჯანი და პრესა

ამ ჭორებისა და ლანძღვა-გინების საპასუხოდ და იმ ულტრამემარჯვენეთა ჯინაზე აჯანი თავის ისტორიულ სამშობლოში, ალჟირში გაემგზავრა, რათა ანტისამთავრობო ძალებს შეხვედროდა; ამ ფაქტმა აჯანის ტერორიზმის მფარველის სახელი შეუქმნა, რასაც თავად მსახიობის გააქტიურება მოჰყვა და მან პრესას მიმართა კონტრარგუმენტების გამოსაქვეყნებლად. ჟურნალ-გაზეთების მესვეურებმა სიამოვნებით დაუთმეს პრესტიჟული გვერდები ყველაზე ცნობილ ფრანგ მსახიობს და მისი მორიგი კაპრიზის — პოლიტიკის — აფიშირებით საკუთარი ბეჭდვითი პროდუქციის რეალიზებას შეუწყვეს ხელი, მაგრამ... უცებ დაიწყო „ფოტოსურათების პროცესი“, რამაც აჯანი და პრესა მოსისხლე მტრებად აქცია.

იზაბელი ყოველთვის ცდილობდა, რომ მისი პირადი ცხოვრება არასოდეს მოქცეულიყო მეგაზეთეების „ხახაში“; მას ზურგს უმაგრებდა საფრანგეთის კანონმდებლობა, რომლის მიხედვით ადამიანის გარეგნობა მისი (ადამიანის) პირადი საკუთრებაა და ამდენად ყველა რეპორტიორმა, ვინც კერძო პირის ამ საკუთრებას შეეხება (ნებართვის გარეშე), პასუხი უნდა აგოს კანონის წინაშე. აი, სწორედ აქ იჩინა თავი იზაბელის სილამაზისა და ხასიათის სპეციფიურობამ... იგი გაიტაცა კონფლიქტმა იმ ჟურნალისტების მიმართ, რომლებმაც მსახიობის ფოტოები გამოაქვეყნეს ნებართვის გარეშე.

> „ეს ნაქურდალი ფოტოებია! — აღშფოთდა ჩვენი ლამაზმანი — კადრები, სადაც ჩემი სახეა აღბეჭდილი, რეალური ცხოვრებიდანაა ამოღებული და ეს ჩემი გარეგნობის ხელყოფაა, რადგან ადამიანის ყოფითი გამოსახულებანი მისი პირადი, ხელშეუხებელი ფენომენია!“

## კარიერის დასაწყისი

იზაბელს არანაირი სამსახიობო განათლება არ გააჩნია. მისი დებიუტი კინოში 14 წლის ასაკში შედგა („პატარა მენახშირე“), ამავე პერიოდში მან პატარა როლი ითამაშა რობერ ოსეინის მიერ დადგმულ სპექტაკლში „ბერნარდა ალბას სახლი“, რამაც აჯანის მიწვევა განაპირობა საფრანგეთის ყველაზე სახელოვან თეატრ „კომედი ფრანსეზში“, სადაც მან მოლიერის ერთ-ერთ პიესაში მთავარი როლიც კი შეასრულა. რამოდენიმე თვის შემდეგ 19 წლის აჯანის ამ თეატრმა ფანტასტიური კონტრაქტი შესთავაზა 20 წლით, რაც საფრანგეთის თეატრალურ წრეებში გაუგონარ მოვლენად იქცა. მაგრამ კინემატოგრაფმა კიდევ ერთხელ გამოაცალა თეატრს ლუკმა-პური, რადგან აჯანიმ ვერ გაუძლო ცდუნებას და დასთანხმდა რეჟისორ კლოდ პინოტოს, რომ ეთამაშა ფილმ „ალიყურში“, ქალიშვილის როლი, რომლის მშობლებს ანი ჟირარდო და ლინო ვენტურა ასახიერებენ. იგონებს კლოდ პინოტო:

„მე იზაბელი ტელევიზიით ვნახე, სწორედ მაშინ სცენარისტი ჟან-ლიუ დაბადი „ალიყურის“ ტექსტს წერდა და მე მას დავურეკე და ვუთხარი, რომ სასწრაფოდ ჩერთო ტელევიზორი. ასე დავიწყეთ ჩვენ ამ გოგონას ძიება და აღმოჩნდა, რომ იმ დროს იგი ბრეტანში ისვენებდა და ერთი თვის შემდეგ უნდა დაბრუნებულიყო. თუმცა, ჩვენთან მეორე დღესვე მოვიდა, როცა შეიტყო, რომ მას კინოროლს ვთავაზობდით. იზაბელი მაშინ საკმაოდ ჩასუქებული იყო და მე ვუთხარი, რომ როლზე დავნიშნავდი იმ შემთხვევაში თუ მის წელზე ჩემი თითები ერთმანეთს შეხვდებოდა. ამ დღიდან მას, ხილის გარდა, არაფერი უჭამია და წონაში მომენტალურად დაიკლო. როლზე რომ მუშაობდა, იგი იმდენად იყო ძალაგამოცლილი, რომ მე მას ძალით ვაჭმევდი ბიფშტექსს...“

„ალიყურის“ გადაღებები ინგლისში მიმდინარეობდა და ამიტომ იზაბელს სამი კვირით მოუხდა თეატრის მიტოვება და მას, გამონაკლისის სახით, დართეს საამისო ნება, თუმცა უმალ წარმოიშვა მარადიული დილემა — თეატრი თუ კინო?... და მან კინო არჩია, რაშიც ნამდვილად არ შემცდარა, რადგან „ალიყურმა“ მას დიდი წარმატება მოუტანა — იგი თვით ფრანსუა ტრიუფომ მიიწვია ვიქტორ ჰიუგოს ქალიშვილის, ადელ ჰიუგოს როლზე ფილმში „ადელ ჰ-ს ისტორია“.

## წარმატებათა ფეირვერკი

„ადელ ჰ-ს ისტორია“ იზაბელისათვის იქცა გზად მსოფლიო აღიარებისაკენ. მართალია, იმ წელს (1975 წ) საფრანგეთის უმაღლესი კინოპრემია „სეზარი“ შეუდარებელ რომი შნაიდერს ერგო, მაგრამ იზაბელი „ოსკარის“ ნომინაციაზე წარადგინეს და კრიტიკოსთა აღფრთოვანებული გამოხმაურებანიც დაიმსახურა. დაიწყო გადაღებათა მთელი კასკადი, იზაბელი მსოფლიოს აღიარებულმა რეჟისორებმა პოლანსკიმ, ჰერცოგმა, უოლტერ ჰილმა და ფრანგებმა ანდრე ტეშინემ, ჟაკ მონემ და სხვებმა მიიწვიეს. 1976-85 წლებში აჯანი 15 ფილმში გადაიღეს, რომელთა შორის იყო პირველი ჰოლივუდური წარმატებაც ფილმში „მძღოლი“, მაგრამ მთელი ეს კასკადი ერთი წარუმატებელი როლით, ერთი დაუმთავრებელი რომანით და ერთი შვილით დასრულდა 80-იან წლების ბოლოს.

ფილმში „იშტარი“, რომელშიც ორი ამერიკელი ავანტურისტის როლს დასტინ ჰოფმანი და უორენ ბიტი თამაშობდნენ, იზაბელმა არაბი ტერორისტი ქალის როლი ითამაშა. მიუხედავად ასეთი სახელებისა, ფილმი სამარცხვინოდ „ჩავარდა“, თუმცა იზაბელს აქ ერთი „ტკბილი გრძნობა“ ეწვია, რასაც სიყვარული ჰქვია; მას უორენ ბიტი შეუყვარდა, მაგრამ ჩათვალა, რომ ამ დროისათვის მზად არ იყო ცოლისა და დედის ფუნქციათა სატვირთავად, რომ უორენთან ქორწინება ჰოლივუდში გადასახლებას გამოიწვევდა და უარი თქვა „გრძნობათა აყოლაზე“, რასაც ჰოლივუდის ერთი მაცდუნებელი პროექტის უარყოფა და პარიზში დაბრუნება მოჰყვა. მიტოვებულმა უორენმა გარკვეული ხნის შემდეგ იზაბელს მთავარი როლი შესთავაზა ფილმში „დიკ ტრეისი“, მაგრამ აჯანიმ კვლავ უარი თქვა იმ მოტივით, რომ თმის შეღებვა არ სურდა ქერად და შედეგად ეს როლი მადონამ მიიღო, რომელიც ერთხანს თავად „ეალერსებოდა“ უორენ ბიტს, მაგრამ იზაბელისაგან უარყოფილმა ბიტმა თავადაც უარყო მადონა და საბოლოოდ ანეტ ბენინგზე დაქორწინდა.

შვილი კი აჯანიმ რეჟისორ ბრუნო ნიუტენისაგან გააჩინა.



## აჯანომანია

უკვე ითქვა, რომ იზაბელის სკანდალურ ცხოვრებაში პრესამ გარკვეული „წვლილი შეიტანა“, როგორც ეს მას (პრესას) ახასიათებს, დაიწყო აჯანის პირადი ცხოვრების მიკროსკოპული შესწავლა. მისი ფოტოები ბულვარული ჟურნალების გარეკანებზე მოხვდა, მსახიობის სერიოზული ალსარებანი ყვითელი პრესის მასხრობის თემად იქცა და, ალბათ, ამანაც გამოიწვია ის, რომ იზაბელს დროებით (4 წლით) მოუხდა კინოს მიტოვება. ამბობენ, რომ ამის მიზეზი იმ ფსიქოპატების როლის შესრულებაა, რომლებიც აჯანიმ განასახიერა და რომლებმაც მისი ნერვული სისტემის რღვევა გამოიწვია, მაგრამ ეს ჭორები თავად მსახიობმა უარყო და განაცხადა: „მე აღარ მსურს რომ ეს იდიოტი რეჟისორები ბრძანებლობდნენ ჩემზე!“. შესაძლოა, ეს ხუმრობაც იყო, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება, რომ ამ ხანში იზაბელმა უარყო ბევრი რეჟისორის საინტერესო წინადადება და მათ შორის გაიქცა იმ გადასაღები მოედნიდან, სადაც გოდარი ქმნიდა ფილმს — „კარმენის სახელი“. ამ ამბავმა ჩვეული მითქმა-მოთქმა გამოიწვია პრესაში აჯანის ცხოვრების უწმაწურობის შესახებ, რასაც თავად მსახიობის ჩვეული გესლიანი განცხადება მოჰყვა: „ის, რაც მე სამი დღის განმავლობაში განვიცადე გოდართან, სხვა რეჟისორებთან სამი თვის მუშაობას უდრის“.

## ისევ თეატრში

ათწლიანი ინტერვალის შემდეგ აჯანი თეატრში დაბრუნდა და მთავარი როლი ითამაშა სტრინდბერგის „ფრეკენ იულიაში“, რომელიც კრიტიკოსებმა მიწასთან გაასწორეს, ხოლო მაყურებელმა გულგრილად მიიღო.

სცენაზე დაბრუნებამ სიგიჟის თემასთან დაბრუნება გამოიწვია, ეს თემა კი მსახიობს მთელი თავისი კარიერის მანძილზე თან სდევდა. იზაბელს მშვენივრად ჰქონდა გაცნობიერებული, რომ ეს იყო რისკი სტრინდბერგის ფსიქოპათოლოგიურ სამყაროში ჩაძირვისა, მაგრამ, როგორც პირველხარისხოვან მსახიობს, არ შეეძლო უარი ეთქვა ამ დრამატურგიულ მასალაზე. „საათნახევრის განმავლობაში ეს დრამატურგი მაიძულებდა მთელი ქვეყნიერებისათვის მემტკიცებინა და მეყვირა — „გიჟი არა ვარ!“ — მაგრამ სინამდვილეში ეს იყო გზა სიგიჟისაკენ, რამაც მთელი ჩემი ცხოვრება გადაასხვაფერა...“

ასეა თუ ისე, სტრინდბერგის შემდეგ მართლაც მოხდა ფასეულობათა გადაფასება და შეიქმნა ის ჩვეულებრივი გარემო, როცა იწყება სიმწიფის ასაკში გადასვლა და საკუთარი ცხოვრებისეული შეხედულებების ჩამოყალიბება.

## მორიგი რომანი

ამ „გადაფასებათა“ დროს იზაბელმა პირველი უძვირფასესი არსება შეიძინა პატარა გოგონას, ბარნაბეს სახით, რომლის მამა, როგორც ვთქვით, რეჟისორი ბრუნო ნიუტენი გახლდათ (ფილმი — „კამილა კლოდელი“), თუმცა ნამდვილი სიყვარული აჯანის ირლანდიაში ელოდა, იქაური მსახიობის დანიელ დეი-ლუისისაგან. „მე მაშინ ლონდონში ვცხოვრობდი — იგონებს მსახიობი — და ერთხელ ძალზედ სასაცილო ბარათი მივიღე. მშვენიერი რამ არის-მეთქი, — გავიფიქრე — მაგრამ, სიმართლე რომ ითქვას, დიდხანს ვჭოჭმანობდი, სანამ პასუხს გავუგზავნიდი. იმ ბარათის ავტორს მეორე დღეს შევხვდი; ასეთი „პაემანი“ ხშირად მქონია და ყოველთვის შებოჭილად ვგრძნობდი თავს, იმ საღამოს კი ძალზედ ლაღი და სიმპათიური სიტუაცია იყო და, როგორც ინგლისელები იტყვიან, რომანტიკულიც კი...

აჯანისა და დეი-ლუისის რომანს მთელი მსოფლიოს პრესა ადევნებდა თვალს ხუთი წლის განმავლობაში, ვიდრე 1994 წელს საყვარლები ერთმანეთს არ დაშორდნენ. 1995 წლის აპრილში კი იზაბელს შეეძინა ვაჟი გაბრიელი და უმალ გაჩნდა „ინფორმაცია“ ყვითელ პრესაში იმის შესახებ, რომ ბავშვის დაბადების დღეს, მამამისი დეი-ლუისი ჯულია რობერტსთან ალერსში იყო გართული.

იზაბელი ამ განშორებას ასე ხსნის: „ჩემი აზრით, ზოგიერთი მამაკაცის სულში არის გაუთვალისწინებელი შიში დამოუკიდებლობის დაკარგვისა. მათ ჰგონიათ, რომ ქალი მათს თავისუფლებას ზღუდავს. ფილმში „მკვდარი მოდის“ არის ასეთი ფრაზა — სიყვარული სახიფათოა, რადგან მას ბევრი რამის შეცვლა შეუძლია. ადამიანები, რომლებმაც არ იციან, თუ რა არის სიყვარული. შეიძლება შეშინდნენ, როცა ცხოვრების დადგენილი წესი იცვლება ისე, რაც მათთვის ჩვეული არ არის, ამიტომაც გაურბიან ისინი სიყვარულს.

გაბრიელი დანიელის შვილია და მას შეუძლია ნახოს იგი ყოველთვის, როცა მოისურვებს; მე კი ყველაფერი წესრიგში მაქვს და განუხორციელებელი სიყვარულის გამო გლოვას არ ვაპირებ. დაბადების სიხარულმა მიჩქმალა ის ტკივილი, რაც სიყვარულის სიკვდილმა მომიტანა“.

გაიგო რა იზაბელის ფეხმძიმობის ამბავი, ფრანგული პრესა ისტერიულ ჩოჩქოლში აღმოჩნდა. მსგავსი რამ მხოლოდ 30 წლის წინ, ბრიჯიტ ბარდოს ფეხმძიმობისას მოხდა. იზაბელის ბინასთან 24 საათიანი მორიგეობა დააწესეს, ფოტორეპორტიორები იზაბელს ყველგან დასდევდნენ, ჟურნალისტები მსახიობის ახლობელთა მოქრთამვას ცდილობდნენ ინტიმური ფაქტების მოძიების მიზნით. და იზაბელი იძულებული გახდა ნიუ-იორკში გადაბარგებულიყო. იქ ანონიმი და თავისუფალი აჯანი მშვიდად დასეირნობდა ქალაქის პარკებში და მაშინაც კი არ ჩამოვიდა საფრანგეთში, როცა „დედოფალი მარგოსათვის“ მას მორიგი „სეზარი“ გადაეცა. ფრანგული პრესა სიშმაგემდე მივიდა, მაგრამ ვაჟის დაბადებამ ეს წყენა გაანელა და „ეროვნულ კინოვარსკვლავს“ კიდევ ერთხელ აპატიეს.

## „დედოფალი მარგო“

აჯანის ტრიუმფალური სკანდალები ასევე ტრიუმფალური ფილმით დასრულდა. 1993 წელს იგი მიიწვიეს დიუმას რომანის ეკრანიზაციაზე.

იგონებს მსახიობი:

„დედოფალ მარგოს“ შექმნა ოთხი წლის მანძილზე გაიწელა. ჯერ წერდნენ სცენარს, მერე მისი გადაწერა დაიწყეს, შემდეგ ვერ გადაწყვიტეს მოეწვიათ თუ არა ინგლისელები ფილმის ფინანსირებაზე, ბოლოს გადაწყვიტეს, რომ კინო პირწმინდად ეროვნული უნდა იყოს... მე კი ველოდი. ფილმის გადაღება რომ დაიწყო, მე თითქმის აღარავის ვახსოვდი და ამიტომ გადავწყვიტე რაღაც გმირობა მაინც ჩამედინა იმისათვის, რომ დამემტკიცებინა — აჯანი ცოცხალია! აი, ამიტომაც გამოვიდა ეს როლი ჰეროიკულიც, ვნებიანიც და ისტორიული თვალთმაქცობაც“.

ფილმი ჩაფიქრებული იყო, როგორც მცირებიუჯეტიანი უსახური კომედია, მაგრამ როგორც კი გაჩნდა ცნობა, რომ მასში აჯანი მიიღებდა მონაწილეობას, გადასაღებ მოედანს ჟურნალისტების ურდოები მიაწყდა. მსახიობის პირადი ცხოვრების შესახებ დაწერილი გროვის შემდეგ მეგაზეთეებს, როგორც იქნა, მიეცათ საბაბი კინოვარსკვლავის შემოქმედების შესახებ ესაუბრათ და არც შემცდარან, რადგან ამ ფილმის შემდეგ გამოჩნდა ის ჭეშმარიტი ნიჭი, რაც გააჩნია აჯანის როგორც მსახიობს და უკვე აღარავის აინტერესებდა ის „ცელქი გოგონა“, რომელიც თავისი წარმომავლობით, ინტიმითა თუ კაპრიზებით „ჰკვებავდა“ ყოველგვარი ფერის პრესას.

საოცარი ფაქტი კი ის გახლავთ, რომ დიუმას რომანში არსებული რომანტიული გმირი, იზაბელ აჯანის ნიჭის წყალობით სრულიად ახალი სახით გადაიშალა და გაუგონარი ტრაგედიული სისრულით ამეტყველდა. თავად მსახიობმა ამ პერსონაჟს „ღირსებამოსილი“ უწოდა და ეს ეპითეტი თავად მსახიობსაც ეკუთვნის.

## 1996 წელი

ყველა მოუთმენლად ელოდა ახალ ფილმს აჯანის მონაწილეობით და ეს უნდა ყოფილიყო დოსტოევსკის „ორეულის“ მიხედვით შექმნილი ეკრანული ნაწარმოები, სადაც იზაბელი კვლავ უნდა შეხვედროდა რეჟისორ რომან პოლანსკის, მაგრამ 1996 წლის ივლისში ეს განზრახვა ჩაიფუშა, რადგან მამაკაცის მთავარი როლის შემსრულებელს, ჯონ ტრავოლტას, სერიოზული კონფლიქტი მოუვიდა რეჟისორთან. მაგრამ, როგორც ჩანს, ამგვარი კაზუსები აღარანაირ ზიანს არ აყენებენ იზაბელს და ვაჟის შეძენის შემდეგ იგი მართლაც ახლებურად აღიქვამს ცხოვრებას.

> მე აღარ მსურს ცხოვრების სიამეთაგან გაქცევა. მე აღარ მჯერა იმის, რომ ტანჯვას და სასოწარკვეთილებას რაღაც აუცილებელი და მაგიური ძალა აქვს. ცხოვრებას შეუძლია არა მხოლოდ წუხილის გამომეტება, თუმცა ეს რომ გაიგო, წლების გავლაა საჭირო; იმისათვის, რომ თავი დააღწიო იმ ბნელ საკანს, სადაც ბავშვობაში ჩაგვამწყვდიეს, ხანგრძლივი სულიერი შრომის აღსრულებაა საჭირო... და საკმარისია ერთხელ ნახო სინათლე და შენ მას ველარასოდეს დაივიწყებ, მუდამ გექნება სურვილი მისი ნახვისა ყველგან, ყველაფერში და ყველანაირ პარტნიორთან“.

## „არა, მე ნამდვილად არ მიყვარს მშიშარა მამაკაცები“

# მსახიობის ბიოგრაფია... 24 სიყვარულის ფონზე

ვალენსია კარიბის ზღვის პირას გაშენებული პატარა ქალაქია ვენესუელაში, აქ ყველა ერთმანეთს იცნობს და ყველამ ყველაფერი იცის და, როგორც ყველა ვენესუელელს, ყველას ბევრი შვილი და ბევრი ქალიშვილი ჰყავს; *„ჩემმა დაბადებამ დიდი ვერაფერი სიხარული მოუტანა ჩვენს ოჯახს — ამბობს მსახიობი — რადგან ჩემს მოვლენამდე მამაჩემს — უკვე ჰყავდა რამოდენიმე ჩემნაირი არსება; ასე რომ, ბავშვობაში განსაკუთრებული სიყვარული არაფრით დამიმსახურებია“*. თუმცა ის ბავშვობა არც-კი იყო დასრულებული, რომ 8-9 წლის გოგონა უკვე თითით საჩვენებელი იყო უბნის ბიჭებისათვის. მისი სილამაზე არც ვალენსიის პროვინციული თეატრის რეჟისორს დარჩა უყურადღებოდ. და ერთ ჩვეულებრივ სპექტაკლში არაჩვეულებრივი ანგელოზის როლი ათამაშეს მას შემდეგ, რაც მამამისისგან ნებართვა აიღეს. მაგრამ მისი თეატრალური დებიუტი მალევე შეწყდა, რადგან, როგორც ეს პროვინციულ თეატრს სჩვევია, სპექტაკლი უმაყურებლობის გამო რეპერტუარიდან ამოიღეს. კორაიმა ისევ სწავლა-განათლებას მიუბრუნდა და კოლეჯის დამთავრებამდე აღარც-კი გახსენებია, რომ ამქვეყნად არსებობს სცენა, რომ არაფერი ვთქვათ კინოზე და ტელევიზიაზე.

*„13 წლის ვიყავი, როცა ერთმა ბიჭმა ჩემი გულისთვის სწავლა მიატოვა და დღედაღამ კუდში დამდევდა. მე კი ის არც-კი მომწონდა, რადგან არაფრით ჰგავდა ჩემი ოცნების გმირს; მე ხომ მაშინ რაინდულ და უშიშარ პრინცზე ვოცნებობდი, ის კი იმასაც ვერ ბედავდა, რომ ჩემთვის თვალებში შემოეხედა; არა, მე ნამდვილად არ მიყვარს მშიშარა კაცები.“* — აი, ასეთი დამოკიდებულება ჰქონდა და აქვს კორაიმას ყალბი „უფლისწულების“ მიმართ.

კორაიმას ცხოვრებაში პირველი დიდი ტკივილი მამის წასვლა იყო ოჯახიდან; ის ვიღაც ქალს გადაეყარა და ისე წავიდა სახლიდან, შვილები აღარც გახსენებია. დედა იძულებული გახდა კარაკასში დაბრუნებულიყო, სადაც მისი მშობლები ცხოვრობდნენ, და თან ოთხი ქალიშვილი წაეყვანა. დედაქალაქში კორაიმას დიდი არაფერი ყურადღება დაუმსახურებია, რადგან დედამიწის „სილამაზის ნაკრძალად“ ქცეულ ქალაქში მხოლოდ მაცდური ღიმილით და თვალთმაქცი გამოხედვით ვერაფერს გახდები. საჭირო იყო რაღაც სხვა და ეს „სხვა“ მეზობლად მცხოვრები ტელეოპერატორი აღმოჩნდა, რომელმაც კორაიმა ტელევიზიაში სასინჯ გადაღებაზე მიიწვია, თუმცა ეს იმის მხრივ 16 წლის გოგონას გაბრუების მცდელობა უფრო იყო, ვიდრე მისგან ტელევარსკვლავის შექმნის სურვილი.

*„მას მიბელი ერქვა, სულ ტელევიზიაზე მელაპარაკებოდა და ერთხელაც იქ წამიყვანა სტუდიის დასათვალიერებლად. მე ვიცოდი, რომ მას მოვწონდი, მაგრამ არ ვიმჩნევდი ამას, რადგან მაღიზიანებდა მისი ბრიყვული ამპარტავნობა, თუმცა ტელევიზიაში წასვლაზე მაინც დავთანხმდი, რადგან ვგრძნობდი, რომ რაღაც სიურპრიზი მელოდა იქ“*... და ეს სიურპრიზი აღმოჩნდა ის, რომ ერთი ტელევიქტორინის მაყურებელთა შორის მოხვდა და კონფერანსიემ სწორედ იგი შეარჩია



ერთი პატარა რეპრიზის პარტნიორად. ასე გამოჩნდა პირველად კორაიმა ტორესი ტელეეკრანზე.

*„ის კონფერანსიე 40 წელს მიღწეული, თმებშეღებილი ლოველასი აღმოჩნდა; გადაცემის დამთავრების შემდეგ თავისი ტელეფონი მომცა და სახლში დიდი თაიგულით გამომისტუმრა, მე კი მეორე დღესვე დავურეკე მას და ვუთხარი თქვენი თაიგული დაჭკნა-მეთქი და საღამოს ყვავილების მთელი გროვა გამომიგზავნა... ასე მოვხვდი პირველ ტელენოველაში; ის ჩემი თაყვანისმცემელი ძალზედ გავლენიანი კაცი აღმოჩნდა. ჩემი ერთი გაღიმებისათვის მზად იყო საათობით ეცქირა ჩემთვის, მაგრამ მამაჩემის „ამბის“ შემდეგ მე ეჭვის თვალით ვუყურებდი ასაკში შესულ მამაკაცებს...“*

ასეა თუ ისე, კორაიმა ტორესმა ვენესუელის ტელევიზია დაიპყრო თავისი ღიმილითაც და ნიჭითაც. „კასანდრამდე“ მან ორიოდე არამთავარი როლი ითამაშა სერიალებში, 1991 წელს კი რეჟისორმა გრაციო დ ანჯელომ სასინჯ გადაღებაზე მიიწვია და სცენარის ავტორის დელია ფიელოს დაჟინებით სწორედ კორაიმა დანიშნა ამ ძალად ბოშა — ქალის როლზე. გადაღებები 1991 წლის მიწურულს დაიწყო და აქ ორი რამ შეეჯახა ერთმანეთს: პირველი დიდი როლი და პირველი სერიოზული გატაცება...

*„მაშინ ოსვალდო უკვე გამოცდილი მსახიობი იყო და ჩემი მსგავსი სულელების მოხიბვლასაც დიდი ოსტატობით ახერხებდა. ჩვენი პირადი ურთიერთობაც თითქმის ისეთივე სცენარით მიმდინარეობდა, როგორც ჩვენი გმირებისათვის იყო გათვალისწინებული. ჩვენ 6 თვის განმავლობაში თითქმის სულ ერთად ვიყავით და კარგად გავიცანით ერთმანეთი... ჩვენი ტელესიყვარული, მგონი, დამაჯერებელი გამოვიდა...“* — ამ სიტყვების მიღმა, ცხადია, მრავალი ინტიმური ფაქტი იმალება, მაგრამ ეს ყველაფერი რატომღაც ძალზედ მალე მიივიწყა კორაიმამ და ფილმის გადაღების დამთავრებისთანავე კოლუმბიელი პროდიუსერის ალეხანდრო ვალდერანოს წინადადება მიიღო და ბოგოტაში გაემგზავრა ისე, რომ არც-კი დალოდებია იმას, თუ როგორ მიიღებდა მაყურებელი „კასანდრას“. როგორც ჩანს, ვერც ოსვალდო აღმოჩნდა კორაიმას ოცნების გმირი, რადგან თაყვანისმცემლებით განებივრებული ქალის თვალში მამაკაცები მხოლოდ რიგითი სატრფიალო ინტრიგის პერსონაჟები იყვნენ.

1993 წელს კორაიმას დედა დაეღუპა და იგი მცირე ხნით კარაკასში დაბრუნდა... ამ დროს პირველად იგრძნო მან, რომ ცხოვრება საშინელი ტკივილებითაა სავსე, რომ ეს „სპექტაკლი“ დრამატულ სცენებს ყველასათვის ამზადებს...

კოლუმბიაში დაბრუნებული კორაიმა ძალზედ შეცვლილი ეჩვენა ალეხანდროს.

*„ალეხანდრო გულჩათხრობილი და სერიოზული კაცი იყო, ამიტომაც ეძებდა ჩემში სიხალისესა და თავქარიანობასაც კი და თითქმის მაძალებდა კიდეც, რომ გამუდმებით მეცინა და ღიმილი არ მომეშორებინა სახიდან, მე კი ეს აღარ შემეძლო...“*

ამასობაში კი „კასანდრას“ ჩვენება დასრულდა ვენესუელას ტელევიზიით და თითქმის მთელმა ესპანურენოვანმა სამყარომ მოისურვა მისი ხილვა; სამხრეთ ამერიკის შემდეგ „კასანდრა“ კორაიმას საოცნებო ქვეყანას, ესპანეთს ესტუმრა; იმ ესპანეთს, სადაც ყოველ სამხრეთამერიკელს სურს დაამტკიცოს, რომ, გარდა თავად ესპანეთისა, სხვაგანაც არსებობენ ესპანურად მეტყველი ნიჭიერი პიროვნებები...

მადრიდელი მაყურებელი ერთხანს გულგრილად უცქერდა „კასანდრას“, მაგრამ იმ სცენის შემდეგ, როცა ზღვისპირა სახლიდან იგნასიოს ცხრაკლიტულს გამოექცა კასანდრა და მომაკვდავ ბაბუასთან ჩამოვიდა, მაყურებელი ტელეეკრანს მიეჯაჭვა...

*„მე თითქმის წელიწადი ვცხოვრობდი მადრიდში; ეს იყო ჩემი ცხოვრების ულამაზესი ხანა... მე იქ რამოდენიმე ტელეშოუში მივიღე მონაწილეობა და ჩემი ფინანსური მდგომარეობა ძალზედ გაუმჯობესდა, თუმცა მადრიდმა მე უფრო დიდი ბედნიერება მაჩუქა და დარჩეს ეს ჯერჯერობით საიდუმლოდ... მართალია, ჩემი მეუღლე ეჭვიანი არ არის, მაგრამ ჯერ მაინც არ მინდა იმის გახსენება, რაც ესპანეთში დარჩა...“*

კორაიმა ახლა კოლუმბიაში ცხოვრობს თავის მეუღლესთან ერთად, რომელთანაც გასულ წელს იქორწინა და თავს ბედნიერად გრძნობს, რადგან უამრავი [illegible] ქვს რეჟისორებისგან და უამრავი თავ[illegible]ებული ცდილობს მისი ღიმილის ტყვეობაში ყოფნას...

24 სიყვარული ეგებ [illegible] ძალზედ ახალგაზრდა ქალისათვის, მაგრამ მრავალ მაყურებელს 24 საათის განმავლობაში რომ შეუძლია მისი ფილმების ყურება, ეს ფაქტია...

*არა, ეს არ არის დიდი ხელოვნება...*

*ეს დიდი საქმეა — დაიპყრო ხუთი კონტინენტის სრულიად განსხვავებული ადამიანები.*

**გაზეთი „საბაჰ“ (დილა), თურქეთი**

**თარგმნა ალ. ელერდაშვილმა**



## რა გველის ივნისში კასანდრას თაყვანისმცემლებს

(გარდა იმისა, რომ „ბალი ათი შაური ეღირება“)



ახლა გაზეთის გაყიდვის ყველანაირ გზა-კვალს ტკეპნიან (... დიდის რუდუნებით) და ამ საქმეში უთუოდ დიდი „ღვთის მადლი“ იყო მოსკოვიდან იმპორტირებული შვიდკასეტიანი კომპლექტი, რომელიც „კასანდრას“ მომავალ სერიალებს შეიცავს (მარი ჯანაშიას და სლავა ნათენაძის ხმის გარეშე). ჰოდა, გაჩნდა ჩვენს პრესაში ბოშა-ქალის თავგადასავლის მომავალი პერიპეტიების აღწერა-აღნუსხვანი. ისე, კაცმა რომ თქვას, ჭეშმარიტ „სერიალისტს“ მომავალი ამბების წაკითხვა არ უნდა აინტერესებდეს, რადგან მას „ვიზუალური განცდის“ უზარმაზარი სიამოვნება მოაკლდება; მაგრამ არა თუ ისე, ყველა დაინტერესებულ პირს შეუძლია გაიგოს ამ ფილმოზავრის შინაარსი 21 საათის განუწყვეტელი მზერის განმავლობაში თუკი მას აქვს:

1) 7 კასეტიანი კომპლექტი
2) ვიდეომაგნიტოფონი
3) ელექტროენერგია
4) ... და სურვილი!

ჰოდა, იმის გამო, რომ ბევრ ჩვენთაგანს მხოლოდ უკანასკნელი „პუნქტი“ გააჩნია, (ბრეგაძეების პრასისა არ იყოს), ჩვენ მოგახსენებთ ორიოდ ფაქტს, რასაც აუცილებლად მომზადებულნი უნდა შეხვდეთ:

1) რობერტო და ოფელია შერიგდებიან

ბ) ლილიაროსა ფეხზე წამოდგება და გაივლის

გ) მანრიკე კი სიარულის უნარს დაკარგავს

დ) ერმინია (ამდენი მოგზაურობის შემდეგ) „პრიჩოსკას“ შეიცვლის

ე) ლუის დავიდი კასანდრას ვინაობას გაიგებს

ვ) ბავშვი დაიბადება და მალევე მოკვდება

(იგნასიოს შვილზე მოგახსენებთ)

ზ) და ყველაზე მთავარი:

კასანდრას თავდავიწყებამდე შეუყვარდება

ვიღაც მომღერალი კაცი!...

მაშ, ლუის დავიდი?!

ლუის დავიდი იბრძვის, იბრძვის და იმარჯვებს.

თუმცა მანამდე, სანამ გაიმარჯვებს ამ ჩვენი ლუისის გულში საშინელი ბალღამი დაგროვდება... აბა, როგორ კაცო?! — დედას არ უყვარს, ტყუპისცალი მოგიკლეს, ცოლი (და არც ცოლი) ვიღაც „მუზიკანტთან“ გლალატობს და ხომ უნდა ყოველივე ამას გაძლება, ჰა, ხალხო?! კაცმა რომ თქვას, მწერალ ქალს მეტი რა მოეთხოვება: ამ საცოდავ ყმაწვილკაცს, რომელსაც ამდენი ბოლმით ლამის „ჯიგარი გაუფუჭდეს“, სწორედ რომ ქალური ინსტინქტებიდან გამომდინარე ქმნიდა, ალბათ, და ამიტომაც გაუგონარი ოდენობის ეჭვით სული ამოხადა და ბოლოს, ძალიან-ძალიან ბოლოს კასანდრა მისკენ მოაბრუნა... (მანამდე სენიორიტა კასანდრამ ციხეშიც მოასწრო ყოფნა, თუმცა ამას თავად ნახავთ).

ერთი სიტყვით, საკმაოდ მღელვარე ივნისი გველის და, როგორც ადრე აღვნიშნეთ, ამ ბოშა-ქალის ირგვლივ შექმნილი აჟიოტაჟი თავის კულმინაციას სწორედ ამ დროს მიაღწევს, ამიტომაც ვინახავთ თქვენთვის საინტერესო რამოდენიმე „ინფორმაციის“ მომავალი ნომრებისათვის.

**იკითხეთ „ფანტაზია“ და უყურეთ „კასანდრას“; ან პირიქით — ჯერ უყურეთ, მერე იკითხეთ და დროულად გადაიხადეთ გადასახადები ჩვენი ეკონომიკის აღორძინების დაჩქარების მიზნით.**

## მაყურებლის რეპლიკა

ჩვენ ამ იაფფასიან „საპნის ოპერებს“ დიდი ხანია მივეჩვიეთ და დავრწმუნდით, რომ აქ მთავარია არა მხატვრული მხარე, არამედ ყოფითი დეტალებით დატვირთული სიუჟეტი, სადაც აუცილებლად არის ან დაკარგული შვილი (მარიანას სერიალი), ან დაკარგული მეხსიერება (მარიას სერიალი), ან დაკარგული ძმა (ხუანის სერიალი), ან დაკარგული შვილიშვილი (გვარს არ დავასახელებ...) და ა. შ.. ეს ყველაფერი გასაგებია, გაუგებარია ერთი რამ: ნუთუ ეფექტურია ეს რეკლამები ასეთ სერიალებში?! ნუთუ, გარდა პრესტიჟისა, რაიმე მატერიალური უკუგება აქვს აქ რეკლამებს? მე ეს მეეჭვება, რადგან ის, ვინც რეკლამირებული პროდუქციის მომხმარებელია, ამ ფილმს არ უყურებს, ხოლო ის, ვინც უყურებს, ამ პროდუქციას ვერ შეიძენს...

.. საერთოდ კი, მე რეკლამის რიმაალმდეგი არა ვარ, აღარც მაღიზიანებს და აღარ აღმაფრთოვანებს: იმ ანეკდოტისა არ იყოს — „რას ერჩით, თავისთვინა ზის, მაწონსა ჭამსო...“

ტელემაყურებელი

# ინტიმი...



ამ კითხვაზე მკაცრად ჩამოყალიბებულ და არგუმენტირებულ მეცნიერულ პასუხს ვერსად მოძებნით, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ საკითხს მრავალმა გონიერმა თუ უგუნურმა (ე. წ.) მეცნიერმა უამრავი ნაშრომი მიუძღვნა. ასე რომ, რაღაც განზოგადებული განმარტება ასე შეგვიძლია ჩამოვაყალიბოთ (ოღონდ გთხოვთ, ამას „ფორმულად“ ნუ აღიქვამთ!).

**სექსუალური რევოლუცია არის ინტიმური ცხოვრების ჩართვა საერთო ადამიანურ კულტურაში, ანუ სექსის გამოყვანა იატაკქვეშეთიდან.**

ალბათ, საკამათო არ გახლავთ ის ფაქტი, რომ გარკვეული რელიგიური, პატრიარქალური თუ ფსიქოლოგიურ-ზნეობრივი ფაქტორებისა გამო უკანასკნელი 70 წლის განმავლობაში (და ადრეც) სექსი ჩვენში საუბრის „აკრძალულ თემად“ ითვლებოდა და ითვლება. ამიტომაც ამ სფეროში „განათლებას“ ყოველი ჩვენთაგანი სადღაც (პირობითად!) ქუჩაში იძენდა და ამგვარი „უნივერსიტეტის“ გამოისობით ნაირგვარი ცრურწმენის, შიშის თუ კომპლექსის ტყვეობაში ვექცეოდით (და კვლავაც ვექცევით). არადა, ეს სფერო უმთავრესი თუ არა, ერთ-ერთი მთავარია ნებისმიერი პიროვნების სრულფასოვანი ჩამოყალიბების პროცესში. მიჩქმალვა-მიჩუმათება ნაირგვარი ბინძური და ანგარებიანი არსების დომინირებას იწვევს ამ სფეროში და მათი ილუზორული „ყოვლისშემძლეობით“ მრავალი სრულიად ნორმალური და ზნეობრივი პიროვნების სექსუალური თავმოყვარეობა ილახება.

სექსუალური რევოლუციის გარეგნულ ნიშანთაგან ორიოდე ფაქტორის აღნიშვნა შეიძლება, პირველი „კანონი“ ის გახლავთ, რომ მოცემულ საკითხზე თავისუფლად უნდა შეიძლებოდეს საუბარი, და ასევე თავისუფლად შეიძლებოდეს საინტერესო ინფორმაციის მოსმენა, წაკითხვა და ნახვა, ანუ არ შეიძლება საზოგადოებამ პიროვნებას აუკრძალოს ის, რაც პიროვნების არსებობის ქვაკუთხედს წარმოადგენს. მეორე — ინტიმური ცხოვრების დასაწყისი არ უნდა აღიქმებოდეს გარეშე პირთაგან „ტრაგედიად“, რადგან ეს ისეთივე აუცილებელი მოთხოვნილებაა, როგორც საკვების მიღება, მესამე — ყოველი პიროვნება თავად უნდა ზრუნავდეს იმაზე, რომ მისი პირადი კულტურა შეესაბამებოდეს, როგორც მინიმუმ, სექსუალური კულტურის საშუალო ნორმას.

მთავარი ისაა, რომ მინიმუმამდე უნდა დავიდეს იმ ჯანმრთელი ადამიანების რიცხვი, რომელთაც, რაღაც მიზეზთა გამო, ინტიმური ცხოვრების გარეშე უხდებათ არსებობა. მეტაფორულად რომ ვქვათ (სექსის ნაცვლად — „წიგნი“), იდეალურ კულტურულ საზოგადოებად შეიძლება მივიჩნიოთ ადამიანთა ის ერთობა, სადაც წიგნს ყველა კითხულობს; მართალია, ზოგი მათგანი „დონ კიხოტს“ უნდა კითხულობდეს, და ზოგი — ლექსებს, მაგრამ აზრი იმაშია, რომ კითხვა ყველამ უნდა იცოდეს და საკითხავი „წიგნიც“ გააჩნდეს სახლში ან დროდადრო ბიბლიოთეკაში დაიარებოდეს (თუ სახლში საჭირო წიგნი არ აღმოჩნდა).



## მაინც რა არის სექსუალური რევოლუცია?

**დასავლური გამოცდილება.** საერთოდ რევოლუცია, და მათ შორის სექსუალურიც, პირველ ხანებში ბრიყვთა და უზნეოთა „დიქტატურით“ ხასიათდება. მაგალითად, ევროპაში იყო პერიოდი, როცა აღნიშნული „რევოლუცია“ ე. წ. ჰიპების მოძრაობას დაემთხვა, რომლებიც ყოველგვარი მორალის დოგმათა წინააღმდეგ ილაშქრებდნენ. იქ ისეთი ხანაც იყო, როცა ჯგუფური სექსი თითქმის ცხოვრების ნორმად იქცა (შეადარეთ პროლეტარული რევოლუციის „ერთად შრომის“ პრინციპს); იმასაც ამბობენ, რომ 60-იან წლებში ყოველ მეხუთე „დასავლელს“ მონაწილეობა ჰქონდა მიღებული აღნიშნულ „ღონისძიებაში“.

ასეა თუ ისე, დასავლეთ ნახევარსფეროში ჩვენთვის საინტერესო რევოლუცია კარგა ხანს დასრულებულია და თანაც გამარჯვებითაა დასრულებული. პატარა მაგალითი: ამ რევოლუციის დაწყებამდე „საშუალო ამერიკელი“ (თანაც ქალაქელი) კვირაში 4 წუთს ანდომებდა ე. წ. „ინტიმს“; მაშინ, როცა წვერის პარსვაზე ყოველკვირეულად 24 წუთს ხარჯავდა. ახლა კი ის „4 წუთი“ გაორმაგდა და გაიზარდა და კვირის დროის ბიუჯეტში „9 წუთის“ სახით დაფიქსირდა, რის შედეგადაც „მეძავობისა და მუსუსობის“ პროცენტი კი არ ამაღლდა, არამედ ორჯერ შემცირდა. მინიმუმზე დავიდა განქორწინებისა და ოჯახის ნგრევის შემთხვევები.

(ნუთუ ვინმეს გეპარებათ ეჭვი იმაში, რომ მეუღლეთა დაშორების მთავარი მიზეზი „ინტიმური“ შეუთავსებლობა ან უბრალოდ სექსუალური უკულტურობაა?!).

სხვათა შორის, დასავლელთა რევოლუციის ერთი საინტერესო შედეგი კიდევ ის გახლავთ, რომ ცოლ-ქმრული ღალატის, ანუ „განზე გახედვის“ სურვილი პრაქტიკულად ნულამდე დაეცა და, აი, რატომ: პიროვნება, რომელსაც ქორწინებამდე ყოველგვარი „თავგადასავალი“ განცდილ-გაამებული აქვს, ოჯახის შექმნის შემდეგ ბავშვის აღზრდაზე ზრუნვით, ფულის შოვნით ან სახლის მშენებლობითაა დაკავებული და ნაკლებად თუ გაახსენდება „მეუღლის იქითა“ სამყარო. ეს ყველაფერი ძალზე ლოგიკურად ჟღერს, მაგრამ ვეჭვობ, რომ მაინც ძალზედ მიუღებელი იქნება იმ საზოგადოების წარმომადგენელთათვის, რომლებიც 70-იან წლებში თვეობით მსჯელობდნენ და მრისხანებდნენ იმ ფაქტის გამო, რომ ერთ უმშვენიერეს ქართველ მსახიობს ერთ დიდებულ ტელესპექტაკლში სხეულის შიშველი ნაწილი ერთობ უხერხულად გამოუჩნდა... ხოლო ანუკ ემესა და ჟან-ლუი ტრენტინიანისეულ ფილმს — „ქალი და მამაკაცი“ — კაცთმოძულეობის კვინტესენციად მიიჩნევდნენ.

მართალი რომ მოგახსენოთ, ყოველგვარი რევოლუცია „რაღაცას მოკლებული “ ადამიანების ქმედებად მიგვაჩნია, მაგრამ რაკილა ეს თემა ჩვენშიც წამოიჭრა, ალბათ, ღირს მასზე წყნარი და დადინჯებული საუბარი და არა ობივატელური ტკობაბა იმით, თუ როგორ ებრძვიან ურთიერთს უკულტურო არსებების „ჩაცემენტებული“ გონება და უხამსი პორნო გამოცემების სტიქია.

### რიტორიკული კითხვა

ეგებ მოიძებნოს ის გზა, რომელიც „ვაისა“ და „უის“ გაგვყრის და სადმე ჯანმრთელი თანაარსებობის გარემომდე მიგვიყვანს?!

### და ბოლოს, ანეკდოტი:

ორ მამაკაცს შორის მწოლიარე ქალი პატარა „შესვენებისას“ სიგარეტს გააბოლებს და უცებ ასეთი შიში გაუჩნდება:

— ვაითუ, ვინმემ ამბავი მიუტანოს მამაჩემს, რომ სიგარეტს ვეწევიო.

## ანონსი

**უახლოეს ხანში გვსურს შემოგთავაზოთ კიდევ ერთი წერილი აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით «მეკობრე ქალი...»**

# რა უყვართ და რა სძულთ მამაკაცებს (ქალებში)

**უყვართ**

1. კეკლუცობა
2. როცა იგი ქალს უყვარს
3. მსახიობები
4. უშუალობა
5. ოპტიმიზმი
6. ქალურობა
7. დამოუკიდებლობა
8. ნდობა
9. გულღია სიცილი
10. მოულოდნელი ინტიმი
11. ქალი, რომელიც პირველი დგამს საჭირო ნაბიჯს
12. ქცევის წინასწარვე განჭვრეტა
13. გაშლილი თმა
14. როცა შეუძლია ქალი გააბედნიეროს
15. გონებამახვილობა
16. ჩალის ქუდი (აგარაკზე)

**სძულთ**

1. პრანჭვა
2. როცა მას ქალი აღმერთებს
3. პარტიული აქტივისტები
4. ქედმაღლობა
5. გამუდმებული წუწუნი
6. მტკიცე ხასიათი
7. გულგრილობა
8. კონტროლი
9. მწარე დაცინვა
10. ინტიმი — განრიგით
11. ქალი — უკარება
12. გეგმით ცხოვრება
13. ლაკირებული თმა
14. როცა ვალდებულია ქალი გააბედნიეროს
15. წამიერი წყენა
16. ყველა დანარჩენი ქუდი



# მთიელთა ხუმრობანი

მთიელი და ქალაქელი დათვზე სანადიროდ წავიდნენ. მოძებნეს ბუნაგი, ჩაუსაფრდნენ... გამოჩნდა დათვი, ქალაქელმა სროლა დააპირა, მაგრამ მთიელმა შესძახა:

— გავიქეცით!

გამოიქცა მთიელი და გამოჰყვა ქალაქელი. ირბინეს, ირბინეს, ირბინეს... სდია, სდია, სდია მათ დათვმა და ასე ჩამოვიდნენ სოფელში. აქ კი მთიელმა შესძახა:

— ესროლე ჩქარა!

ქალაქელმა ესროლა, მოკლა დათვი და მთიელს ჰკითხა: — ტყეში რატომ არ მომაკვლევინე?

— იქ რომ მოგეკლა, სოფლამდე შენ ათრევდი?!

☺

მთიელი დირექტორი იბარებს ქალაქელ ხელქვეითს და ეკითხება:

— ჩემს ბიძაშვილ ბიკენტის რატომ უწოდე „დებილი“?

— თავად განსაჯეთ: გუშინ სასმელი ვიყიდეთ და ბიკენტის ვუთხარი — „გაიქეცი და ნახე სახლში ხარ თუ არა შენ და თუ სახლში ხარ, შენთან წავიდეთ-მეთქი დასალევად“ — და ისიც გაიქცა...

— უჰ, მართლა დებილი ყოფილა ბიკენტი... შეეძლო ტელეფონით დაერეკა.

☺

მთიელი დააყენებს ბოძს, აძვრება ზედ, ჩამოვარდება; ისევ დააყენებს, ისევ აძვრება, ისევ ჩამოვარდება...

— რას შვები, კაცო?! — ჰკითხა ქალაქელმა

— ბოძის სიმაღლე უნდა გავზომო.

— მერე დააწვინე და ისე გაზომე?!

— დაწოლილი რომ გავზომო, სიგრძე იქნება.

☺

ზის მთიელი და ვირს ჭადრაკს ეთამაშება. შემოდის ქალაქელი:

— ვაჰ, სიმონ, რა ჭკვიანი ვირი გყოლია?!

— რათ არი ჭკვიანი?! — გაბრაზდა მთიელი — წინა პარტია ყაიმით დამთავრდა.

☺

ორი მთიელი ავტობუსში ადის. ერთი მათგანი მძღოლს ეკითხება:

— ამ ავტობუსით ბაზრობამდე მივალ?

— არა, — პასუხობს მძღოლი.

— მე? — ჰკითხა მეორე მთიელმა.

### გასული ნომრის პასუხები

(ერთაზ-ვორდი) თარაზულად: 5. ტოლერანტი; 9. არისტოტელე; 11. ჰირისუფალი; 12. იური; 13. მუნ; 14. ტოტალიზატორი; 17. საბუდარა; 22. სტიქია; 24. უნივერსიტეტი; 26. ერევანი; 29. ვერტიკალური; 32. ქრისტეფორე; 35. ფიზიკოსი; 36. ტრუმენი; 38. რენომე; 39. თოვლი; 41. ფელინი; 42. ლიახვი; 43. მარია; 44. ჯვალო; 45. ნიანგი; 47. ერბო; 49. პარმა; 50. გულიტი; 52. ვოლტორნა; 54. ქეიშვილი; 55. ბაფთა; 57. სტარტი; 58. ლაიზევეცი; 60. ლირფი; 62. ბისექტრისა; 63. ამბერკი; 64. სტაბილიზაცია; 65. ბუხჰალტერი; 66. დარბაისელი; 68. რეისი; 72. ოდა; 74. იმიტაცია; 76. ნოე; 78. კიბერნეტიკა; 79. ანიკო; 80. ინიციალები.

შვეულად: 1. დელიკატესი; 2. ლიმუზინი; 3. დეკადა; 4. მიმინო; 5. ტყაბლაძე; 6. ლუიზიანა; 7. ნატო; 8. იალბუზი. (ე) ელიტოპოლი; 10. ტაროსი; 15. ტურა; 16. რეიდი; 18. აკიდო; 19. ურემი; 20. ფიფქი; 21. პერი; 23. აისი; 25. ვასო; 27. ვარსკვლავი; 28. ნემო; 29. ვერულაშვილი; 30. რენტაბელური; 31. კრედიტორი; 33. ფალია; 34. რენეგატი; 35. ფილადელფია; 37. ელიოზაშვილი; 39. თამუნია; 40. ვარშავა; 41. ფონოგრამა; 46. იშიაზი; 48. ბორის; 51. ლილეო; 53. არაბია; 54. ჰრილობა; 55. ბაქო; 56. ფირი; 57. სიდრი; 58. ლაბირინთი; 59. ზაჰესი; 61. დარსაძე; 62. ბიოლოგია; 66. დისკო; 67. აგური; 69. იმიჯი; 70. ჰაინე; 71. ცირკი; 73. ამაო; 75. აბი; 76. ერი.

(გრამატიკული კროსვორდი) თარაზულად: 9. ჯულიეტამ; 10. ვისოცკიმ; 11. სკრაში; 12. ალაზე; 13. ინტერს; 14. ანეეს; 15. უდიერად; 16. ვაკეს; 19. სასამართლოს; 20. ამხანაგის; 21. ფიდეს; 23. ვარდს; 23. ვერმიშელს; 26. რომანსებს; 29. გორმა; 30. შტურმით; 31. კოკას; 32. დარდმა; 33. რომში; 34. აპრილს; 35. სიზუსტეს; 36. საკმაზმა.

შვეულად: 1. ელბაზე; 2. მერიმ; 3. მარაბდელი; 4. მიტერანმა; 5. ხობის; 6. სკოტმა; 7. ჯოკონდას; 8. მარსელის; 10. მარემ; 15. რთველში; 16. ბარაბამ; 17. აკიამ; 18. არდის; 21. გელოვანს; 22. პლუტარქემ; 23. პოლიტიკამ; 24. ებრაელმა; 26. გრიმს; 27. მადაზე; 28. ოქროზე; 30. მარსს; 31. ქარმა;

(ლოგოვორდი) ბრაზილია — მექსიკა — ინდოეთი — ვარსკვლავი (შტატები)

ელცინი — შევარდნაძე — არჩევნები — პეტროსიანი (პრეზიდენტი)

მაიკლ ჯექსონი — კალათბურთი — ზანგი — ჯორდანო ბრუნო (მაიკლ ჯორდანი)

ჩაპლინი — კინო — ლოს-ანჟელესი — კინოვარსკვლავი (ჰოლივუდი)

შტატები — პრეზიდენტი — ჯორდანი — ჰოლივუდი =აშშ

# საქართველოს პირველი საგაზაფხულო ჩემპიონატი სუპერკროსვორდის შევსებაში 10 ტურად

## გაზეთ „ფანტაზიის“ პრიზზე

## მეცხრე ტური — 19-25 მაისი 100 სიტყვა



**თარაზულად:** 16. რა არ არსებობს თბილისურ ჟარგონში? 17. თარგმნეთ თურქულად — „კარავი“. 18. ძველი ბერძენი. 19. წიგნი, რომელსაც პირველად ქალს აწვდიან. 20. (ბატონი) ყაჟეიშვილი, მწერალი. 21. ბუსებრი თუთიყუში. 22. როგორი შეფასება შეიძლება მიეცეს 1991-94 წლების მოვლენებს? 23. ამხედრებული „პრავადნიკები“ — ერთად. 24. ლეონიდ კურავლიოვის კინოპერსონაჟი. 25. ბრბოს დამორჩილების ერთ-ერთი საშუალება. 26. ცარცული პერიოდის ყველაზე დიდი არსება. 28. ნაბახუსევის საუკეთესო „წამალი“. 29. იტალიელი მომღერალი, ბენიამინო. 33. ავტორი რომანისა „მარტოობის ასი წელი“. 35. გარეგნობის კორექციის სისტემათა ერთობლიობა. 37. საქართველოს ისტორიული ძეგლი. 38. გერმანელი მეზღაპრეები — ერთმანეთისთვის. 41. ამა თუ იმ მოძღვრების მაკონტროლებელი „მეცნიერება“. 43. ადამიანთა თავშეყრის სახესხვაობა. 45. რა აქვს ყოველ ქალაქს? 46. წასახდენი რამ. 48. ძველთბილისური ცეკვა. 50. სიტყვაში ჩართული „ნაწილაკი“. 51. თბომეურნეობის შემადგენელი ნაწილი. 52. ქართული მისამღერი. 56. ავტორი რომანისა „ცხრაკარა“ (მირზა გელოვანის შესახებ). 57. ალბანეთის ეროვნული გმირი. 59. დროებითი სამოსახლო. 63. ადგილის ზმნიზედა. 65. ფსევდონიმი ფრანგი პოეტის, იზიდორ დიუკასისა. 66. ამა თუ იმ სფეროს მხცოვანი წარმომადგენელი. 67. რევაზ ინანიშვილის მშობლიური სოფელი. 71. საბჭოური წარმოების ავტომობილი. 72. ხმელეთში შეჭრილი წყალი. 73. ქართველი კინორეჟისორი. 75. ყვარყვარეს ერთ-ერთი თანამებრძოლი. 76. ტიბეტური ხარი. 80. აშშ-ს საკონგრესო შენობა. 82. ავტორი „ახალი ელიოზისა“. 83. კუნძულ სახალინის აბორიგენი. 85. მეტისმეტად უსიამოვნო, არასასურველი... 88. მირზა გელოვანის დაბრუნების „საშუალება“. 90. პერსონაჟი კინონოველისა „მტრედები“. 91. საქართველოს რაიცენტრი. 93. ბედნიერი „ცნება“ ერთ ქართულ კინონოველაში. 95. ქალაქი უზბეკეთში. 97. შექმნილი ვითარება. 98. გერმანული წარმოშობის (?!) ყურძნის ჯიში. 99. ფრანგი კინოკომიკოსი. 100. „მამელუქის“ პერსონაჟი.

**შვეულად:** 1. ქართველი პოეტი-პარლამენტარი. 2. ქალაქი, სადაც ყველაზე დიდი ხანძარი გაჩნდა. 3. მე-19 ს. რუსი მოქანდაკე. 4. ერთი ქართული სიმღერის პერსონაჟი-ფრინველი. 5. იმედო კახიანის კინოპერსონაჟი. 6. მთებისა და ხევების ვიწრო ადგილი. 7. ანა ფრანკის მეგობარი. 8. მერაბ ელიოზაშვილის პიესა. 9. თარგმნეთ ლათინურად — „თავისუფლება“ (... გამოიჩინეთ „შემწყნარებლობა“ ამ კითხვის მიმართ). 10. მეფე ფილიპ IV „ლამაზის“ თანამედროვე კოლეგა. 11. ვინ არის უმრავლესი თქვენგანი და ვინ ჰყავს ზოგიერთ თქვენგანს? 12. როგორი კოალიცია შექმნეს ამერიკელმა, ინგლისელმა და ქართველმა? 13. თარგმნეთ ლათინურად — „ავადმყოფის მოვლა“. 14. რა სიტყვა იყო ყველაზე პოპულარული იტალიაში 1943-45 წლებში. 15. რა არა აქვს ცხოვრებას უკროსვორდოდ (ჩვენთვის, ბატონო!). 27. ტიტანის კოლეგა. 30. სამეცნიერო დაწესებულების თანამშრომელი. 31. ქალაქი რუსეთში. 32. „მიწისთხრის“ მეცნიერება. 34. რუსული ესტრადის აწ გარდაცვლილი მაია. 36. რუსული მუს. ინსტრუმენტი. 39. თაბაშირის მისალები თეთრი მინერალი. 40. სპეციფიური ქართული სახელი მამაკაცისა. 42. რა ერქვა ზევსის ფარს? 44. „ელისეს მინდვრების“ მომღერალი. 47. იტალიური ფულად-საკრედიტო დაწესებულება. 49. გერმანელებში ქრისტიანობის გამავრცელებელი. 53. როგორი შვილია რემბრანდტის ერთ ნახატზე გამოსახული? 54. „გვადი ბიგვას“ პერსონაჟი. 55. ესპანელთა თავაზიანი მიმართვის სიტყვა. 58. გარეგნული ფორმა. 60. სოფელი კასპის რაიონში. 61. ყველაზე პოპულარული სახელი 1941-45 წწ. საქართველოში. 62. ძვირფასი ხავერდი ან ფარჩა. 64. ერთ-ერთი ჩანთოსანი ცხოველი. 68. რუსული ესტრადის მომღერალი. 69. სათამაშოების მწარმოებელი ცნობილი ფირმა. 70. (ქალბატონი) წუწუნავა, მსახიობი. 74. ის, რაშიც არასოდეს არაფერი ვარდება. 77. დადებითი ემოციის გამოხატვის უკიდურესი და არაესთეტური ფორმა. 78. „დედამიწის სახურავი“. 79. რუსეთის პრეზიდენტობის ერთ-ერთი ყოფილი კანდიდატი. 81. როგორი ქალი იყო (... და არის) ოთარაანთ ქვრივი? 84. როგორ მოიხსენიებს მიკირტუმ გასპარიჩ ტრადატოვი ქართველს? 86. რუსი თეატრალური რეჟისორი და პედაგოგი. 87. რა შეიძლება გატყდეს სიტყვით? 89. ინდოევროპელი ენათმეცნიერების ერთ-ერთი ფუძემდებელი (... თანაც ფრანგი!). 92. გორბაჩოვის საწინააღმდეგო პუტჩის ერთ-ერთი მონაწილე. 94. მუსიკალური ინსტრუმენტი. 96. შემაჯამებელი სიტყვა.

**პასუხები წარმოადგინეთ ა. წ. 25 მაისის 12 საათამდე. დაგვიანებული პასუხები არ მიიღება.**

## ჩემპიონატში მონაწილე ლიდერთა შედეგები 7 ტურის შემდეგ

| | V ტური | VI ტური | VII ტური | კოეფიციენტი | საპრემიო | ქულა |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. გაბრიელიძე | 99 | 100 | 98 | 99.00 | +8 | 107.00 |
| 2. ვეკუა | 99 | 100 | 99 | 98.17 | +8 | 106.17 |
| 3. ზურაბიშვილი | 99 | 99 | 99 | 98.66 | +7 | 105.66 |
| 4. ბუჟღულაშვილი | 97 | 97 | 100 | 98.43 | +7 | 105.43 |
| 5. ხაჩირაშვილი | 99 | 98 | 96 | 96.72 | +8 | 104.72 |
| 6. ფანჩვიძე | 99 | 96 | 96 | 96.70 | +8 | 104.70 |
| 7. ნებიერიძე | 98 | 99 | 96 | 98.12 | +5 | 103.12 |
| 8. თიკანაშვილი | 99 | 97 | 100 | 97.54 | +5 | 102.54 |
| 9. კვირიკაშვილი | 95 | 93 | 96 | 95.99 | +6 | 101.99 |
| 10. კიკალეიშვილი | 99 | 99 | — | 99.15 | +2 | 101.15 |
| 11. საღრიშვილი | 95 | 93 | 82 | 93.84 | +7 | 100.84 |
| 12. ბაღდავაძე | 96 | 95 | 88 | 93.00 | +7 | 100.00 |
| 13. სესიტაშვილი | 99 | — | 97 | 97.75 | +2 | 99.75 |

ჩემპიონატის საუკეთესო ათი მონაწილე ჩაირიცხება მომავალი ჩემპიონატის „უმაღლეს ლიგაში“, რომელიც ზაფხულ-შემოდგომაზე გაიმართება 15 ტურად. პირველ ლიგაში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველას. მომავალ ნომრებში დაზუსტებით შემოგთავაზებთ ჩემპიონატის წესებს.

## მონაწილის სავიზიტო ბარათი

გვარი ______________________

სახელი ______________________

მისამართი ______________________

ტელეფონი ______________________

## საპრემიო კროსვორდი

**გთავაზობთ საპრემიო კროსვორდს; აქ სწორად ამოცნობილი ყოველი სიტყვა (ქულა) პირდაპირ დაემატება კოეფიციენტს. ეს არი შანსი კოეფიციენტის გაზრდისა.**



1) ეს ცნება სიტყვასიტყვით ასე ითარგმნება ქართულად — „მეხუთე არსი“.

2) საზღვაო სასწავლებლის აღსაზრდელი ძველად.

3) ეს სიტყვა პირდაპირ თარგმანში ასე გამოიყურება — „ჩქარი ფეხი“

4) ქართული კინოს ერთ-ერთი ფუძემდებელი.

**საპრემიო კროსვორდის შევსება სავალდებულო არ არის**

## მეშვიდე ტურის საჩემპიონატო კროსვორდის პასუხები

თარაზულად: 14. ხიზანიშვილი. 15. ნიზამი. 16. მყვარი. 17. თაწხა. 20. ნატურმორტი. 21. ამასონასი. 22. ლენგი. 23. ალმა. 24. პალიტრა. 25. ინტერმეცო. 27. ამადუ. 28. პიცა. 32. ნურმი. 34. ხოი. 35. ოდენსე. 36. ბინი. 37. ზაქარიაძე. 42. შაკიკი. 44. იაროსლავლი. 45. გიდელი. 46. ვინძლო. 48. მურომეცი. 49. ტროცკი. 51. კრუპიე. 53. ნილი. 54. სიუ. 57. რეზისტორი. 58. ბიურგერი. 59. პორტიე. 60. ხორგო. 64. გიგაური. 66. კუტივაძე. 67. ნესი. 68. ესკალაცია. 72. ტეტელაშვილი. 73. პიესა. 74. გუდანი. 75. ფრესკა. 79. ბატისტონი. 82. გოტიე. 83. ბიბლია. 85. არზაყანი. 89. ნასტასია. 91. არაგონი. 93. დავიდოვი. 95. ჯვალო; 97. ვირგლა. 98. ტუტსი. 99. ლოველასი. 100. სკაგერაკი.

შვეულად: 1. ჩიკამაცუ (ტიკამაცუ). 2. ბაჩუკი. 3. სიზმარა. 4. ჟვერი. 5. ალბიონი. 6. ფილარმონია. 7. საფო. 8. მიხაი. 9. იმპიჩმენტი. 10. ევკლიდე; 11. კრინი. 12. კარაპეტიანი. 13. უხამსი. 18. კალეიდესკოპი. 19. პიპინაშვილი. 26. ცრემლი. 29. პოზიტიური. 30. აბუ. 31. პასიანსი. 33. მეისონი. 38. ძელგი. 39. დირექტორია. 40. კრეტა. 41. მეტეორი. 43. აბუსერიძე. 47. არსიანი. 50. კორჩაგინი. 52. პოპესკუ. 55. თეზევსი (თესევსი). 56. შოთაძე. 61. გეი. 62. ნუზლი. 67. ყარფუზი; 65. აიეტი. 69. სპიკა. 70. ავანდასტა. 71. კალანდა. 76. კინალოკო. 78. მინდელი. 80. ადაჟიო. 81. ტოსტაო. 84. ლევისი. 86. ყავარი. 87. ტაიტი. 88. ნიყვი. 90. ტოგო. 92. ოჩლი. 94. ვაკე. 96. უგო.

საპრემიო: 1. მაკიაველი. 2. უკრაინკა. 3. ტრიბუნალი. 4. გულანშარო.

«ფანტაზია». №17(43). 1997

# ნაცნობი სერიალები – ნაცნობ გაზეთში












# სტუდია „ვიდეოეკრანი“

## 10 ყველაზე პოპულარული ფილმი



МАТЬ-НОЧЬ. „ბოევიკი-კარეტე“. უგნური მანიაკი-მკვლელი ხოცავს აღმოსავლური ორთაბრძოლების ჩემპიონებს... (ნიკ ნოლტი)

АНГЛИЙСКИЙ ПАЦИЕНТ. მეორე მსოფლიო ომის დროს ერთი მფრინავი ავიაკატასტროფაში მოხვდება და ჰოსპიტალში მოუწევს მკურნალობა. იქ მას ფრანგი მედდა უვლის და თავისი ცხოვრების ისტორიას უყვება... (მთავარ როლებში ჟულიეტ ბინოში და რალფ ფინესი).

ОТЕЛЛО. უილიამ შექსპირის ნაწარმოების ეკრანიზაცია (მთავარ როლში ლორენს ფიშბორნი).

КРОВАВАЯ ЛУНА. „ბოევიკი-კარეტე“ (გერი დენიელსი). უგნური მანიაკი-მკვლელი ხოცავს აღმოსავლური ორთაბრძოლების ჩემპიონებს...

КРОВЬ И ВИНО. ტრილერი. ღვინით მოვაჭრე ცდილობს გაკოტრებული ბიზნესის შენარჩუნებას და ამ მიზნით იპარავს ბრილიანტის სამკაულს (მთავარ როლში ჯეკ ნიკოლსონი).

СУДЕБНАЯ ОШИБКА. „ბოევიკი-დეტექტივი“. პოლიციელი შემთხვევით კლავს ორ უდანაშაულო ადამიანს და იწყება სასამართლო პროცესი (მთავარ როლში ბილ პულმანი).

ПЕРЕД РАССВЕТОМ. რომანტიული კომედია. პარიზელი სტუდენტი გოგონა მატარებელში გაიცნობს ევროპაში მოხეტიალე ჭაბუკს, გაცნობისთანავე ისინი ჩამოდიან ვენაში. (მთავარ როლში ეტან ჰოუკი).

УБИЙСТВО В 16.00. „ბოევიკი“. საიდუმლო სამსახურის დეტექტივი და აგენტი იძიებენ თეთრ სახლში მომხდარ მკვლელობას (მთავარ როლში უესლი სნაიფსი).

СПЯШИЕ. ცხოვრებისეული ფილმი. ოთხი მეგობარი ცდილობს შური იძიონ იმ ფსიქიურ და ფიზიკურ შეურაცხყოფათა გამო, რაც მათ ინტერნატში განიცადეს (მთავარ როლებში რობერტ დე ნირო და დასტინ ჰოფმანი).

НЕВЕСТА В КРЕДИТ. კომედია. ერთი თაღლითი ქორწილის შემდეგ სასწრაფოდ უნდა წავიდეს საქმეზე, ამიტომაც უტოვებს თავის ცოლს საკუთარ ძმას, სანამ იგი გამოფხიზლდება (მთავარ როლში ჯეიმს ვუდსი).

თარაზულად: 1. მექსიკური ტელესერიალების ცნობილი პროდიუსერი; 6. პერსონაჟი, რომელმაც 1996 წელს საქართველო აატირაქა; 12. რუსი კომპოზიტორის მოგვარე (თუ მოსახელე) ვენესუელელი; 13. ვენესუელელი ელიტარული მეძავი; 14. „ომი და მშვიდობის“ პერსონაჟი; 16. „ჯუნგლების წიგნის“ გრძელი პერსონაჟი; 18. (იხედე მარცხნივ, ზემოთ) ამ ქალის მშობლიური ქალაქი? (ჩაიხედე მე-3 გვ.-ში); 19. მექსიკური ტელესერიალების უნივერსალური ადვოკატი; 20. რეზო ჩხეიძის ცხრა სერიანი კინოსერიალის ესპანელი პერსონაჟი ქალი; 22. ქართული ჰაგიოგრაფიის (სერიალის!) პერსონაჟი; 24. (დაიხედე მარცხნივ, ქვემოთ) ვინ იყო ამ ქალის ძმის ერთ-ერთი (გალაკტიონისეული) სატრფო? 25. (აიხედეთ მარჯვნივ, ზემოთ) გაიხსენეთ „ზონა“, სადაც ეს ქალი ცხოვრობდა; 27. (მზერა – ზემოთ, მარცხნივ) ამ ქალის დედა... 29. (ბატონი) იოსელიანი; 32. ქალაქი იტალიაში; 34. ჰენრი ჰიგინსის მეგობარი პოლკოვნიკი („პიგმალიონიდან“); 36. შვედური ზღაპარ-სერიალების ავტორი; 38. ძალიან ძველი; 39. ხუანის მტერი (თუ გინდათ, მისი დედაც „გაიხსენეთ“); 40. როგორი კაცი იყო როსტევანი? 43. დროის ზმნიზედა ვიტორიო დე სიკას ერთი ფილმიდან; 44. წყნეთური „სერიალის“ პერსონაჟი; 46. (მზერა – ზემოთ, მარჯვნივ) ამ ქალის საყვარლის ქალიშვილი; 47. (ისევ ზემოთ, ოღონდ მარცხნივ) ამ ქალის საყვარელი ცხოვლის სახელი; 50. სტივენ სიგალის სასერიალო პერსონაჟი; 52. სასერიალო რეკლამების „პერსონაჟი“, – მუდამ მდგრადი გემოთი; 55. შვეული № 10-ის ხუჭუჭა სატრფო; 58. კომუნისტური სერიალის „გამოწრთობილი“ პერსონაჟი; 61. თარაზული № 34-ის ლიტ. მამა; 63. „განძთა კუნძულის“ ავტორი; 65. მარია ლოპესის სასერიალო დაქალი; 66. რა არის ის, რისთვისაც სერიალები იქმნება? 67. იგივეა, რაც ცეკვა; 68. ზურაბ ქაფიანიძის კინოროლი; 70. რა თანამდებობის იყო ტორონაგო სერიალში – „სიოგუნი“? 71. იგივეა, რაც მსხვერპლი, ზვარაკი; 72. თარაზული № 6-ის გაველურებული ორგანო; 73. (ბატონი) ნათენაძე, ლუის დავიდის და მისთანების ქართულად ამმეტყველებელი; 74. მექსიკელი მკერავი ქალი; 76. ტბა ანდებში; 78. „სანტა-ბარბარას“ პერსონაჟი ქალი; 79. ზაზა კოლელიშვილის ფილმი; 81. ქალბატონი ჩაბელა – საპასპორტო „რეჟიმით“; 84. საოპერეტო „სერიალების“ ავტორი, ანუ რა ერქვა მას? 85. ფრანგული კინოს ანუკა; 87. მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიული ქალაქი; 88. ქართული ლიტერატურის ვეფხია.

შვეულად: 2. დახედეთ 1-ლი გვ. კროსვორდს და რაც გაგახსენდებათ, აქ ჩაწერეთ; 3. ვინ იყო ნოელი მოდავე ძმებისათვის? 4. კუბელი პოეტი; 5. ქალაქი-პორტი თარაზ. № 36-ის სამშობლოში; 7. მსახიობი პიტკინის სერიალებიდან; 8. ლორენას დაქალი, ხუან კარლოსის ძალად სატრფო, ავარიაში რომ მოყვა; 9. იმავე ლორენას ქმარი, ხუან კარლოსის მეგობარი; 11. სკარლეტ ო'ჰარას სათაყვანებელი კაცი („ქარწაღებულნი“); 15. (ისევ ზემოთ და მარჯვნივ) ამ ქალის (მეთევზე) საყვარელი; 17. იზაურას ქვეყნის ყველაზე ცნობილი კაცი; 21. (ისევ ზემოთ და მარჯვნივ... კი გადაგღალეთ, მარა...) ამ ქალის საყვარლის კანონიერი ქმარი; 23. წინასწარი განაცხადი; 26. ოდრი ჰეპბერნის „საყვარელი“ რეპორტიორი; 28. პირველი ბერძენი ავიატორის მამა; 30. ვინ გადარია სიყვარულმა ბეჟანსავით? 31. „მრგვალი მაგიდის“ საქართველოში ვენესუელური სერიალის („რევანში“) მთ. პერსონაჟი; 33. ნაღდი ბოშა-ქალი („...ხელის გულზე სატარები“); 34. მარსელინო, როგორც ცირკის მფლობელი, ანუ.... 35. (მზერა – ქვემოთ, მარჯვნივ) ამ ქალის მაზლი, „ველურობისას“. 37. მოსამსახურე მდიდრებისა, რომლებიც ტირიდნენ; 39. (მზერა – ქვემოთ, მარცხნივ) როგორ მიმართავენ „უფროსს“ ამ ქალის სამშობლოში? 41. იტალიელი (ვენეციელი) ინტრიგანი; 42. მარია ლოპესი – ცხოვრებაში; 45. (მზერა – ქვემოთ, მარცხნივ) ამ ქალბატონის მამა... 48. ფრთიანი გამონათქვამი; 49. ქართული კინოს ულამაზესი ქალის გვარი (გათხოვების შემდეგ); 51. ინგლისის ისტორიული პირი; 53. მელიტონ ქანთარიას საყვარელი სასეირნო ადგილი; 54. ვაგნერის ოპერა; 56. ნიზამის პოემის პერსონაჟი; 57. ხოსე იგნასიოს (უბრალოდ) პირველი საყვარელი; 59. ქიმიური ელემენტი ჰელმუტ კოლის სამშობლოდან; 60. იგივეა, რაც მანკიერება; 62. ედიტ გონსალესის, იგივე მონიკას, პერსონაჟი მტირალა მდიდრების ოჯახიდან; 63. (ორივე თვალი ქვემოთ – მარჯვნივ, გონება – ხსოვნისკენ...) რა გვარის ოჯახის რძალი იყო ეს ქალი... გაველურებამდე; 64. სერიალი რიჩარდ ჩემბერლენისა და ტოსირო მიფუნეს მონაწილეობით; 69. „რატომ“ – ესპანურად; 72. სალვადორ დალის ცოლი; 75. ერთგვარი ყვავილოვანი ბუჩქი; 77. (ქალბატონი) ნინიძე; 80. ვარდენის ქალიშვილი; 82. ალენ დელონის კინოპერსონაჟი; 83. აკაკისეული აფხაზი პერსონაჟი; 86. რა მიდის ტაძრისკენ (ან არ მიდის...).

ი/ს «ფანტაზია»
რეგისტრირებულია ისნის რაიონის სასამართლოს მიერ № 7/1-1811
რედაქტორი
ალექსანდრე ელერდაშვილი
ვახტანგ ელერდაშვილი
პაატა დავითაშვილი
ბაქარ მამიკაშვილი
ზურაბ აბაშიძე
იოსებ ზენებაშვილი
მაია კვირიკაშვილი
ქეთი უერთაშვილი
მანანა გონგლიაშვილი
მისამართი:
უზნაძის ქ. 18
(„საქწიგნის“ შენობა, I სართული)